

ნახ. შ. აბაშიძისა



— სარვაბარტო სარუჟარს რომ მთხოვთ, მითხა-
რით, რომელი გავხართ ძალს და კი, გაბონო!

№ 5 (1399) მ ა რ ბ ი 1973

სიყნუა

გამოცემის 50-ე წელი უბანი 20 კპპ.



— წამოდი, შვილო, სოფელში, მამაშენი კვდება შენი დარდით!
— ჯიჯი ხართ, ბიჭებო?! მამაჩემი ცოცხალი ყოფილა!..

ბეჭედი...

544!

ერთი შეხედვით, ჩემი ბინა დიდად არაფრით განსხვავდება სხვა ბინებისგან! თუმცა რას ვამბობ! უკვე შევცოდე! როგორ არ განსხვავდება! ნუ დაიხარებთ, ბოლომდე ჩაიკითხეთ ეს იუმორესკა და თუ არ შეგშურდებთ, ამასაც ვნახავ.

სად არ წაიკითხავთ, სად არ მოინმენთ: „სიმშვიდე განმრთელობის ყველაზე დიდი ფაქტორია! მოქალაქენო! ხმაური, მით უფრო ძილის წინ, აფორიაქებს ნერვულ სისტემას, რაც შემდგომში მთელ რიგ დაავადებას იწვევს...“ ეს არ არის მართალი და, აი, რატომ: თუ არაფერმა ავაფორიაქა, თუ სწორედ ახალწაძინებულზე არ შეიქნა რიხინ-რიხინი, დრიგინ-დრიგინი, მაშინ ადამიანი იმდენად დამშვიდდება, რომ შეიძლება ამან მთელი ორგანიზმის შიშველება გამოიწვიოს. მერე ვარგა ეს?! არა და არა! დამის 10 საათიდან ნაშუალამევის 2-3 საათამდე. (ალარას ვამბობ დილის 5 საათზე: ამ დროს ცოცხალი კაცი ფეხზე უნდა იდგე, ლოგინში 7 საათამდე მტერი ჩაწვა!) განუწყვეტლივ რომ არ მოხრივინებდეს ტრამვაები და ტროლეიბუსები პარკში დასაძინებლად (პარკი, ჩემდა გასახარად, სწორედ ჩემი ბინის პირდაპირაა), ბევრი ტრამვაი სწორედ ჩემი ბინის ქვეშ რომ არ იყოს პარკში შესასვლელად რიგში ჩამდგარი (მეტი წილი, „სასტუმროში“ ადგილების უქონლობის გამო, იქვე, ქუჩაშივე ხვრინავს), რომ არ იყოს კომპრესორები ჩართული და არ ისმოდეს დისკანტიდან დაწყებული ბანით დამთავრებული ბელკანტოს ყაიდაზე აუღერებელი ხმაური, მაშინ ხომ მთლად გამოგყრუვდებოდი... ამიტომ გაუმარჯოს ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკთან მეზობლობას! ეს კი არა, ისე შევეჩვიე ამ კაკაფონიას, კაკაფონიას კი არა, სიმფონიას, რომ დაღამდება თუ არა, საათს შეეყურებ, როდის მოვლენ ხრესილის ბულბულები-მეთქი... მაგრამ ჯერ სადა ხართ! ტრამვაი

მოახლოებულიც არ არის, რომ ცისფერი ეკრანი მატყობინებს, მოდისო (რა მგრძობიარეა ეს შეჩვენებული!) დაიწყება ეკრანზე ძაგაგი, ცახცახი, წამოვა ელვისებური, შოლოდ შვი ფერის ტეხილი ხაზები და ყველაფერი ეს ისეთ უცნაურ გამოსახულებებს ქმნის, ჩემი თავი მრულე სარკეების ოთახში მგონია და გულთანად ვხარხარებ...

ახლა მუშტი-კრივის არ იკითხავთ? ჩემი ბინის პირდაპირ, ბაღში, მწვანით შემოსილი ლუდხანაა, უფრო სწორად არაყხანა. მაგლები გარეთ, ყვავილნარსა და ქაღრების ქვეშაა გამოტანილი და ეს დალოცვილი „თეთრი ლუდი“ ისე მაგრად ეკიდება „მამარალ“ მამაკაცებს, რომ „ტეხილი საუბრისა“ და „თვინიერი ქართლის“ შემდეგ მუშტი-კრივზე ვადადიან და იწყება სანახაობა: ვინ ლოპიანა, რომელი ლოპიანა! ამათ შემხედვარეს ყველაფერი დაგვიწყდება...

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ერთი მაინც ვერ გამოვიდა: რატომ ჰქვია ზამთარს ზამთარი, თუ არ შეგვცვიდა, კბილი კბილს არ გვაცემინა? ჰოდა, ზამთარსა და ზაფხულს შორის ეს განსხვავება კარგად რომ ვიგრძნოთ, დროთა მსვლელობა მთლად რომ არ შევარყიოთ, ამიტომ მხოლოდ ჩვენს საღარბოში ვიცავთ მტკიცედ ბუნების კანონზომიერებას და, მესამე ზამთარია, არ ვიცით, რა არის სითბო! როგორ გეკადრებათ, სითბო კი არა, რადიატორს ხელს რომ დავადებთ, კარგა ხანს უნდა ვიყოთ ასე, იქნებ ჩვენმა საკუთარმა შინაგანმა ტემპერატურამ (გარედან ჩვენს გაყინულები ვართ) ოდნავ მაინც შეათბოს მწკრივად ჩამდგარი, ამ შემთხვევაში ჯართადქეული სითბოში დანადგარები. ჰოდა, სწორედ მაშინ გამახსენდება სოფელი (ძველი, ახალი კი არა): კერიაზე დევებივით წამოწოლილი, ავიზგიზებული კუნძები, ჩანავერცხლებული დადარი, საკარცხულში

ჩამჯდარი ბაბუა თავისი განუყრელი ჩიბუხით, ბუხრის კუთხეში, ცეცხლთან, შორიხლოს მიყუყუელი ქოთანო.. გარეთ ქარბუქი, შინ კი ბუხრის ლულუნი. ვითომ კარგი იყო ეს?! კიდეც და კიდეც არა! ეს ხომ უხეში დარღვევაა დვთისაგან განაწესი ზამთარ-ზაფხულიანობისა? რა სჯობს გამოციებულ ოთახს?! აბა, რა ქნან ეს-კომოსებმა? ფუი. ეშმაკს! კინაღამ დამავიწყდა, რომ შინ ისინიც ცეცხლისპირას სხედან და გარეთ კი ბეწვეულში არიან ჩათბუნებულნი, ჩვენ კი „კომფორტაბელურ“ ბინებში საბნები გვაქვს წამოხურული და იბენის მოჩვენებასავით დავიარებით... მე შენ გეტყვი, ტელეფონი ვერ აუბამს მხარს ყველა ამ კომპონენტს! მიუჩლები და ატრიალებ, ატრიალებ... აკრეფ ნომერს, ხან ერთს, ხან მეორეს, იქნებ სადმე შემთხვევით გაძვრე, ატრიალებ და ამდენ ტრიალში დისკო ისეა გააფუფი, თავისთავად იწყებს ბრუნვას... ის დალოცვილი გამოგონებები რას აკლავდენ თავს პერპეტუუმ მობილეს გამოგონებას? დაცდალათ აქამდე, მოსულიყვენ ჩვენთან, მოენახლებითათ თბილისის სატელეფონო ქსელის მუშაკები და ეს რთული, ჯერ მიუწვდომელი მუღმივი ძრავაც მათ ხელთ იქნებოდა...

ხომ განსხვავდება ჩემი ბინა სხვა ბინებისგან?

ჰოდა, შეიძლება ადამიანი ცუდ გუნებაზე იყო, როცა ამდენი „თავშესაქვეით“ ხარ გარემოცული?

ამიტომ გაუმარ...ჯოს რახარას, ჩხუბსა და აყალმაყალს!

გაუმარ...ჯოს ზამთარში შინ და გარეთ სიცივეს, ცისფერი ეკრანის ცახცახს, ტელეფონის დისკოს განუწყვეტელ ბრუნვასა და გულის დამამებელ ლირიკულ „ტუ-ტუ-ტუ“-ს!

მიყვარდა, მშობლებს მოეტაცე... მითხრა: „არა გაქვს ბინა, ჩემი და შენი რამ გაყო? მოდი, გამომეყე შინაო!“
ვიფიქრე: „აწი ვიცხოვრებ, აჰა, საშველი დამადგა!“
მაგრამ მას შემდეგ წამერთვა ძილი, სიმშვიდე და მალა.
ცოლის დეიდა იყვირა, ეგ მახინჯიო სად ნახეთ?
(მე დამცინის და თვითონ მას ცხვირი მიუგავს საწნახელს).
ცოლის მამიდა ქვითინებს: „ეჰ, ნაკლები ვართ ვისზედო? უბინაო და უვოლგო რალა ჩვენ შეგვხვდა სიძედო!“
მაკვირვებს ცოლის ბებია; სულაც არ არის გამწყრალი, ჩემზე არაფერს არ ამბობს (ვერ მხედავს, ბრმაა, საწყალი!)
ქვევრები ღვინით სავსე აქვთ, არც გამისინჯავს! ჭაშნიკი, ცოლისძმა, ყოველ ჭამის დროს, თავს მადგას, როგორც „სტრაჟნიკი“.

დღეს ექვსი წელი შესრულდა, გვერდები რომ მაქვს ხესავით, არ მიძინია ლოგინზე სიმონა დოლიძესავით...
თვალის ბრიალით დამიდგეს ერთი მოშლილი ხის ტახტი, ისე მტკიოდა ზურგი რომ, „ვაიმე დედას“ ვიძახდი.
კურორტზე წასვლა მინდოდა, ცოტა მუხლები მტკიოდა, „ნურც დაბრუნდები ცოცხალი!“ — სიდედრი ასე ჰკიოდა, ბაზარში ჩანთით ჩანჩალი გამომიწერა რეცეპტად, დილ-დილით — ლანძღვა-გინება, საღამოს — წყევლა დესერტად.
არ მინდა ბინა, სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა ამათი, ოღონდ ხვალ ტკბილად, უჩხუბრად დამალოცვინონ რვა მარტი!

ვანო ცინცაძე



— ნუ გეშინია, შვილო, ექიმნი არ არიან!



— რას შვრებით ამ სარკვეპარტოდ, ცოლებს არ ეხმა-რებით?
— მგონი გადავრჩით, დილიდან წყალი არ მოდის!

როგორ გავხდი რაინდი

ფეოლა ძოდასაყლოლი გოგო იყო და, თუ რაიმე განსაკუთრებულს არ ჩაეიდენდი, ამერიკულ ვესტერნებში კოვბოები რომ ახერხებენ, ისეთს, ისე არ მოვწონდი. არც შემთხვევა მომეცა, თავი რომ გამოემჩინა... იგი ბარათაშვილის ხილიდან წყალში არ ვარდებოდა, უმალ რომ ჩავმხტარიყავი და ამომეყვანა... გადასასვლელზე გული არ უღონდებოდა, მანქანის ბორბლებისთვის კრიტიკულ მომენტში რომ გამოემეტაცნა... მუდამ ბნელი ქუჩებით დავატარებდი, ხულიგანი რომ წაგვეყროდა სადმე... იმას კი უბრალოდ ფანქარიც არ უვარდებოდა ხელიდან, რომ ამეღო და რაინდულად მიმეწოდებინა...
ერთხელ, როგორც იქნა, ფეოლა აღვლეველი მოიჭრა ჩემთან და მითხრა: „ვაჟა, ვილაც ხმახლეჩილი ლოთი ყოველდამ ტელეფონით მირევს...“
— როგორ? — აღვშოთიდი მე, — ნუთუ არ იცის, ვისთან აქვს საქმე?!
— შენ რას უზამ?... — გაეღმა მას, — ცნობილი ბირჟავიკი ყოფილა.
— ვინც არ უნდა იყოს, მიფრთხილდეს, თორემ!..
ფეოლას მაინც არ სჯეროდა ჩემი ვაჟკაცობისა და ტელეფონის ყოველ რაწკუნზე შიშისაგან კანკალებდა.
შემდეგ მოვლენები სწრაფად განვითარდა... ხულიგანმა ძალიან აიშვა თავი: მთვრალი, ჩახლეჩილი ხმით ურეკავდა და წინადადებას აძლევდა, ცოლად წაპყლოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის შეყვარებულს, ესე იგი მე, ყელს გამომჭრიდა და თვითონ მას კი გაიტაცებდა. ბოლოს პაემანზე დაიბარა: ხვალ, ექვს საათზე, კომუნარების ბაღთან დავდგები და თუ არ მოხვალ, მერე შენს თავს დააბრალებ, რაც დაგემართოსო.
ატირებულმა ფეოლამ დახმარება მთხოვა.
— ნუ გეშინია, — დავამშვიდე იგი, — იმ ხულიგანს ხვალ მე გავუსწორებდი!
მეორე დღეს, ზუსტად ექვს საათზე, წინასწარ დამუშავებული აფლეთური აღნაგობით კომუნარების ბაღის წინ გამოვცხადდი. ოქ შემთხვევით ვილაც მართლაც იღვა გაზეთით ხელში... მე ჯიბეში ხელი ჩაეყავი, ამოვიღე... ორკაბიანი და ფეოლას ისევ იმ ჩახლეჩილი ხმით, ოღონდ ხმაძალა-ლი ტირილით დავეურეკე:
— ქალიშვილო, რატომ არ მითხარით, თუ ვაჟა თქვენი შეყვარებული იყო?! რად გაალახინეთ ჩემი თავი?!
მას შემდეგ ფეოლას სათაყვანებელი რაინდი გავხდი. ხულიგანი კი... იგი ხომ საერთოდ არც არსებობდა!



— რატომ აყრილხარტ ამ სიცივეში ასეთი თბილი! აღმბილიდან? — ყური მოვკარით, საწყობის გვერდ ვუბნებოდა და-რაჩს: ეს საწყობი თუ არ დავწვით, ჩვენ დავიწვებითო!

რმა მარტის წინადღეს ორი შუა-ხნის მამაკაცი რუსთაველის პროსპექტზე სვდნენ ერთმანეთს.

— ბიჭო, ხარიტონი არა ხარ შენ?! — ეკითხება პირველი და მეორეს გაკვირვებით ამტერდება.

— ვიყავი, — ამბობს მეორე, — ხარიტონი მაშინ ვიყავი, ჩემო გოგია, როცა გუნდ-გუნდად მესეთდნენ გოგოები. ახლა ხალამპრე ვარ.

— ოცი წელი მაინც იქნება, აღარ შემხვედრისხარ. ახლა მეც გიორგის მეძახის ცოლი. რა ბიჭები ვიყავით, პა?!

— დიდი არაფერი, — ამბობს ხარიტონი და გულიანად იცინის, — სად დამეკარგე, რას აკეთებ, ისევ ინსპექტორი ხარ?

— როგორ გეკადრება! ისეთ საქმეს მოვიკიდე ხელი, მალე ჩემი სახელი მთელ ქვეყანას მოედება.

— რეჟისორობას დაიწყებდი და თანავტორი გაუხდებოდი რომელიმე დრამატურგს.

— არა, ბიჭო, მანქანების გამოგონებაზე ვმუშაობ.

— რა მანქანა გამოიგონე?

— რამდენიმე მანქანა.

— მაინც?

— ერთი მანქანა ცოლს ამუნჯებს. როგორი კაპასი და ანჩსლიც უნდა იყოს ცოლი, რვა მარტიდან რვა მარტამდე ხმას არ ამოიღებს.

— მიშველე რაღაცა!

— ხომაა გამოგონება?

— გამოგონება კი არა, ნატერის თვალთა რანაირა შესახედად?

— უბრალო სალტისმაგვარი სპირალია. ხმარების დროს კისერზე იკეთებს ქმარი.

— დიდებული რაღაცა ყოფილა. ალბათ, მაგარ ოინებს გასწევს ეგ შენი მანქანა.

— მიიტანს თუ არა ქმარი პირთან ღვინით საესე ჭიქას, მანქანა-სპირალი ამოსხლტება საყელოდან,

ჭიქას დაეჯახება და ღვინო ზედ ჰი-ჯაკზე გადმოედვება.

— შე კაცო, მე ცოლის დასამუნჯებელ მანქანაზე გელაპარაკები.

— ღვინოს რომ აღარ დალევ, არ დაითვრები და გაღვინილი აღარ მიხვალ შენ, დამუნჯდება ცოლი, მაშ, რას იზამს, რაღაზე დაგიწყებს ჩხუბს? ხალამპრე ეშმაკურად ილიმება, თვალებს ჭუტავს და ამბობს:

— კი, მაგრამ გოგოებში რომ წაეცუნცულდე ჩემად, მაშინ რაღას იზამს ეგ შენი სპირალი?!

— მაგასაც ვერვია. მიიტან თუ არა ტურს ქალის ტურთან, იმ წუთში ამოსხლტება მანქანა-სპირალი საყელოდან და თმაში ჩაგაფრინდება.

ხალამპრე ისევ ილიმება და თვალებს მელასავით ჭუტავს.

— თმა თუ არა მაქვს თავზე?

— თმა თუ არა მაქვს, მანქანა რაღად გინდა, თვითონ ქალები სათოფეზე აღარ მოგეკარებიან.

— ეჰ, ჩემო კარგო, შენი მანქანა რას უშველის. მე ისეთი ცოლი მყავს, სულ უმიზნოდ ყვრიის.

— მაგისთანა ცოლი უნდა შეაშინო, — ახლა გიორგი ხითხითებს და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით რეგოლორის გასროლას გამოხატავს.

— უნდა შეაშინო და გაჩრდებო.

— რეგოლორით შეგაშინო? რეგოლორით თვითონ აქვს ორი ცალი.

— არ გამაგოყო!

— გეფიცები, მილიციაში მუშაობს.

— შე კაცო, გენერალ-მაიორს თუ მიპყვებოდი, ჩემთან რაღას მორბოდი საშველად? ტანკი უნდა გეყიდა! კარგად იყავი, გენაცვალე! მე-ჩქარება, ჩემს დედაბერს რაღაც უნდა ვუყიდე, თორემ ხვალ რვა მარტი.

ისინი გულიანად ხითხითებენ და რვა მარტის აღსანიშნავად მოფუსფუსე ხალხში ერგვიან.

ბიკ ივანიშვილი

დიმილი და ქალები

სტუმრმა ფოტოსურათების საოჯახო ალბომის დათვალიერებზე დაიწყო, მასპინძელი გვერდით მიუჯდა ახსნა-განმარტებიათვის:

— ეს სამგზავრო გემის აფეთქება... მიწისძვრა იაპონიაში... გრიგალი ფლორიდაში... უზარმაზარი ხანძარი ჩიკაგოში... ეს კი ჩემი ქორწილია...

— აუხსენი, თუ ქალი ხარ, ბავშვს, რას ნიშნავს საპატარძლო.

— საპატარძლო არის ქალი, რომელსაც ჰპირდებიან ყველაფერ იმას, რასაც არ მიიღებს მაშინ, როდესაც გათხოვდება.

— ჩემ ცოლს არ უყვარს მრავალსიტყვაობა, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ თავის იმ ცოტა სიტყვებსაც ძალიან ხშირად იყენებს.

ახალგაზრდა კაცი ქუჩაში მიმავალ ხანში შესულ ქალს ეკითხება:

— ბებია, ხომ ვერ მეტყვი, ჩქარა როგორ მოგხვდები საავადმყოფოში?

— აბა, ერთხელაც მითხარით „ბებია“ და უტბად იქ აღმოჩნდებით!

— მითხარი, ძვირფასო, როგორ მოხდა, რომ შენ შემეყვარე?

— აბა, რა გითხრა, ხომ ხედავ, ახლა უცნუდ კი გაკვირვებს.

— ახლა ხომ არ ვგავარ ბებერ ქალს! — ჰკითხა საპარიკმახეროდან დაბრუნებულმა ცოლმა თავის მეუღლეს.

— ნამდვილად, ჩემო ძვირფასო, — წაიბურტყუნა ქმარმა, — შენ ახლა ბებერ მამაკაცს უფრო გავხარ!

— **მიიღეთ** ჩემი სამძიმარი, — უთხრა ერთმა კაცმა თავის ახლობელს. — ჩემ ცოლს ახალი ქურჭი ვუყიდე.

— კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ?

— საქმე ისაა, რომ ჩემი მეუღლე დღეს თქვენს მეუღლესთან სტუმრად მოსვლას აპირებს.

ორი მეგობარი ქალი საუბრობს:

— ოხ, რომ იცოდე, ნამდვილად ბედი არა მაქვს! საკმარისია, შეგხვდე შესაფერის მამაკაცს, რომ მაშინვე აღმოჩნდება: ან ის არის ცოლიანი, ან მე ვარ გათხოვილი.

— **ბატონო** დირექტორო, ძალიან მეწყინა, როცა გავიგე, რომ თქვენი მეუღლე თქვენს თანამშრომელთან ერთად გაქცეულა.

— ეგ არაფერი! ისეთი უსაქმური იყო, გეგმაში მაინც მქონდა მისი სამსახურიდან მოხსნა.

— **ბატონო** ფსიქიატრო, ჩემი ქმარი შეიშალა! თუ შეიძლება, სასწრაფოდ მოათავსეთ სა-გიეში!

— რაშია საქმე?

— გუშინ, სრულიად უმიზეზოდ, შემოვარდა სამხარეულოში, ხის ჩაქუჩით დაბეგვა ბიფშტექსი და შემდეგ აკოცა მოსამსახურეს ლოყახე.

— მე შეშლის არავითარ ნიშნებს არ ვხედავ ამაში, — უპასუხა ფსიქიატრმა, — აი, მას ხის ჩაქუჩით რომ ებეგვა მოსამსახურე, ხოლო შემდეგ ბიფშტექსისათვის ეკოცნა, მაშინ აუცილებლად მოგიკიდებდი ხელს.

— **კოლიციაში** რეკავენ. მორიგე იღებს ყურბილს. ისმის მამაკაცის ხმა:

— გირეკავთ ქალთა მონასტრიდან, აქ ქურდი გადმოძვრა, სასწრაფოდ გვიშველეთ!

— ვინ ლაპარაკობს?

— ქურდი.

— **მითხარი**, შვილო, მოგწონს ახალი დედა?

— იცი რა, შამიკო, მე მგონი, შენ მოგატყუეს, ის არცთუ ისე ახალია!

— **გიშვარს** შენი ქმარი?

— რა თქმა უნდა. მე მამაკაცები საერთოდ მიყვარს.

— **თუ** მიაქციეთ ყურადღება, რომ ჩვენს მეზობლად მცხოვრები ცოლ-ქმარი დღეს ერთმანეთს არ უყვირიან?

— ალბათ, ერთმანეთს დაემღურნენ.

ახალდაპორწინებულს ჰკითხეს:

— როდის გითავდებათ თავულობის თვე?

— როცა ცოლს აღარ მივეხმარები ჭურჭლის რეცხვაში და ამ საქმეს დამოუკიდებლად გავაკეთებ.

— **ამბოჯან**, ცოლ-ქმარმა წინასწარ ათამდე უნდა დათვალოს, ვიდრე ერთმანეთთან წაილაპარაკებს.

— სწორედ მასე ვიტყვი. ჩვენს მეზობლებს კი ჰგონიათ, რომ ბავშვებს არითმეტრიაში ვამეცადინებთ.

— **თუ** შეიძლება, მაჩვენეთ ქალის სვიტერი!

— რა ზომა?

— მნიშვნელობა არა აქვს, სულ ერთია, ცოლი მაინც მოვა გამოსაცვლელად.



გაბივიცეშული ნიანსო!

პიანტურიდან, გოგებაშვილის ქუჩა № 18-ში მცხოვრებლები, მოკრძალებითა და ბოდიშის მოხდით გაწუხებთ: როგორც იქნა, ახალ ბინას ვეღირსეთ, მაგრამ ვი ასეთ ახალ ბინას! ფანჯრები — ჩამტვრეული, კერი — ჩამონგრეული, არც გათბობა, არც გაზი, არც წყალი!.. კიდევ კარგი, წინასწარ გავგაფრთხილეს, რომ იატაკზე ფეხი არ დაადგათ, ან წყალი არ დაასხათ, თორემ პარკეტი აცვივდებაო. ღმერთის წყალობით, წყალი არ გავგაჩნდა და არც დაგვისხამს იატაკზე, მაგრამ ფეხი წავიცდა და კი დავადვიო.

ჰოდა, ხომ გავგაფრთხილეს, ფეხი არ დაადგათო, ახლა ჩვენ თავს ვაბრალებთ ყველაფერს. ნუთუ ამდენი არ უნდა ვიცოდეთ, რომ ახალაშენებულ სახლში ფეხით არ უნდა იარო, წყლის მაგიერ ღვინო უნდა სვა, არც გაზი დაგვირდება და არც გათბობა. ღვიწხით შევარსოვებული თავითაც კარგად ივლი!

უწყლო, უგაზო, იატაკაქრილი, პირამიდონგრეული გოგებაშვილები!

საქვარალო ნიანსო!

გაგამპორის რაიონის სოფელ ნახარებაში გადის რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალი. ამ გზაზე უამრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობს. მოძრაობით კი მოძრაობს, მაგრამ ისე ხშირად კი არა, რომ მოცდა არ დაგვიკრძალოს. რადგან მოცდაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, საჭიროა ავტობუსის გაჩერებასთან გადასურული მოსაცდელი. ჰერ კიდევ 1957 წელს დაიდა ხის ღამაში მოსაცდელი, ხოლო 1963 წელს აღნიშნული მოსაცდელი დაარღვია და მასალები სხვაგან წაიღო საგზაო-საექსპლუატაციო მეტერთმეტე უბნის ხელმძღვანელობამ. ჩვენ კი დაგვირდნენ, კაპიტალურ მოსაცდელს გაგიკეთებთო. 1965 წელს დაიწყო აღნიშნული მოსაცდელის მშენებლობა. ორი მანქანა ხრეში მოიტანეს, მიწა ამოთხარეს და მიატოვეს! 1969 წელს ისევ გაგრძელდა მუშაობა, მაგრამ ახლა უკვე დიდი მასშტაბით: უფრო დიდი ორმო ამოთხარეს, როგორც სივრცით, ისე სივანითაც. ეპ, ნეტავი ძველი ხის მოსაცდელი არ დაენგრიათ, — უფრს მოპკრავთ სამართლიან ჩივილს მგზავრებისას, რომლებსაც ხშირად უნდებათ ავტობუსის ლოდინი ქარსა, თოვლქუჩასა და წვიმაში...

საინტერესოა, რას ფიქრობენ ისინი, ვისაც ეხება ყოველივე ეს?

გელი ავტობუსული

ძვირფასო ნიანსო!

თბილისის ოქტომბრის ქ. № 84-ის IV კორპუსის მეზვიდე და მერვე სართულები მცხოვრებნი გაწუხებთ: 1972 წლის მაისის თვიდან ჩვენს სართლებზე არც ცივი და არც თბილი წყალი არ ამოსულა. უნდა ითქვას სიმართლე, რომ ცივი წყალი ზანდაზან, დილის 8 საათზე, მოდის. იმ დროს ჩვენ სამსახურში მივდივართ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, ცხელი წყალი არა გვაქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, გადასახადს მაინც ვიხდით. ყოველ შემთხვევისთვის, რომ არ დაგვაჯიწყდეს, ერთ დროს მართლაც გვქონდა ცხელი წყალი.

გთხოვთ, შეისწავლოთ აღნიშნული საკითხი და გამოაშკაროთ ის პირნი, რომლებსაც თანამდებობრივად ეხებათ ეს საქმე და ვერ ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას!

თბილისელი გელუნიები.

სანატრალი ნიანსო!

მაინტროსპიის რაიონის სოფელ დიშში, შეღამდებთუ არა, უჭიკ ჩაქრება. ბევრჯერ ვთხოვეთ ელექტრომონტორებს, იქნებ, როგორმე, მიექციათ ყურადღება ჩვენი სოფლისთვის, მაგრამ ჩვენი თხოვნა ერთ ყურში შეუშვეს და მეორეში გამოუშვეს. ჰოდა, რადგანაც ჩვენ ვერაფერი გავახერხეთ, ვთხოვთ, თქვენი ყურნალის ფურცლებზე დაბეჭდოთ ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ, იქნებ წაიკითხონ ელექტრომონტორებმა და მაშინ მაინც მოგვაქციონ ყურადღება!

უსინათლონი

ამხანაგო ნიანსო!

ნება მოგვეცით, თბილისში, ბუდაპეშტის ქ. № 4-ში მცხოვრებმა დიასახლისებმა, შენი საშუალებით, მადლობა გადავუხადოთ როგორც ცხელი, ისე ცივი წყლის მესვეურებს იმის გამო, რომ შაბათ-კვირასა და სხვა უჭიმ დღეებში წყალს არ გვაწვდიან და გავსვენებენ ზედმეტი სამუშაოდან.

არ გვიხლოდა შენი შეწუხება და მივედით საბურთალოს ქუჩაზე მდებარე საქვაბეში, რათა გადაგვეცა ჩვენი „აღფრთოვანება“. მათ გვითხრეს, ჩვენთან ტყუილად მობრძანდით, „მადლობის“ დირსი არის წყალსადენი, რომელიც იოსებიძის ქუჩაზე მდებარეობსო. მივედით წყალსადენში და იქ გვითხრეს, „მადლობა“ საქვაბეს ეკუთვნისო.

გთხოვთ, ჩვენი „კეთილი სურვილები“ და „მადლობა“ გადასცეთ ორივეს!

ბუდაპეშტის ქ. № 4-ში მცხოვრები დიასახლისები

გაზეთებიდან



ნან. გ. ლომიძისა

ლომის ტყავიანი

ნან. ზ. ფორჩხიძისა



— აიღე ყველი, ხუთასი გრამია!
— ვერა, გიძია, ვუღარ მოგატყუებ! დღეს ხუთასის ფარგლებში გეასწავლეს ანბარიში!

სარდალცო კოლეგია: ზ. გოლამაძე, (პ/მ. მდინარე), ს. კლდიაშვილი (მხატვრული რედ.), გ. ნიუნიანი (მთავ. რედ. მრეწველობა), ნ. შველიძე, ო. ტყეშელაშვილი, ნ. ნიანაძე
ტყეშელაშვილი რედაქტორი გ. კულუაშვილი, ტყეშელაშვილი, ნ. ნიანაძე, რედაქტორი, 99-76-69 რედ. მოვალეობის 93-49-32 სამართ. განყოფილება, 93-10-78.
სასაწყობო 13/11-73 წ. მრეწველობის დასახელებად 6/11-73 წ.
სააღმოსავლეთ-საბჭოთაო საბჭოთაო თბილისი 1,4
თბილისი 80/8, 579, 70 01767 ბირაში 134.000
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ. ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ, ТБИЛИСИ. УЛ. ЛЕНИНА № 14.

გოგებაშვილი
მთავარი რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე
N 218
6-11-1973
საბჭოთაო

